წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N2

ქ.წალენჯიხა 25 იანვარი 2019 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 24 დეპუტატი: მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, დალი კვარაცხელია, დავით ბელქანია, მანანა ჭანია, ვალერიანე კვარაცხელია,გოჩა ლიპარტია, ანზორი ძაძამია, ზურაბი სამუშია, იაგო მიქავა, კახაბერ ჯოლოხავა,დავით ფიფია, ვლადიმერ კვარაცხელია, ლევან შელია, დათა კუკავა, თეა ხასაია, ნონა მიქავა, ნონა გუჩუა, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია, დათა აკობია, ირაკლი ხარჩილავა, გიორგი აბულაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირები, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, ა(ა)იპ –ების , საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 13:05 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილი სახით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე (მომხრე 24 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი) მიღებულიქნა

შესაბამისი განკარგულება (განკარგულება N1).

დღის წესრიგი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვარი საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე;
   მომხსენებელი: **თემურ ღვინჯილია**–მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
2. "წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
   მომხსენებელი: **ჯემალ ბელქანია** -მერიის იურიდიული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი
3. "წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური პროგრამებით გათვალისწინებული დახმარებების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: **ჯემალ ბელქანია** -მერიის იურიდიული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

4 . ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N47-ე დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: **ჯემალ ბელქანია** -მერიის იურიდიული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

5.ზოგიერთ ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: **თენგიზ ფიფია,** საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

6.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი: **გელა სალია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

7.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი: **გელა სალია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

8. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საკრებულოს აპარატზე საწვავისა და სატელეფონო ბარათების ხარჯვის ლიმიტის დაწესების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N38 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: **თენგიზ ფიფია,** საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს 1 "წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა ჯემალ ბელქანიამ.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ ავთანდილ გაბელიამ აღნიშნა, რომ ფრაქციას არ აქვს სამუშაო პირობები, როგორც ოთახი ისე კომპიუტერული ტექნიკა.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი 3 ავთანდილ გაბელია, ნონა გუჩუა, ელგუჯა მესხია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 3).

მოისმინეს: 2. "წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური პროგრამებით გათვალისწინებული დახმარებების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა ჯემალ ბელქანიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ აზრთა სხვადასხვაობა არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება. (N4).

მოისმინეს 3. ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N47-ე დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა ჯემალ ბელქანიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ აზრთა სხვადასხვაობა არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება. (N5).

მოისმინეს . 4 ზოგიერთ ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თენგიზ ფიფიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

კენჭისყრის დაწყებამდე სხდომათა დარბაზი დატოვა საკრებულოს წევრმა დათა აკობიამ.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი5 - გიორგი აბულაძე, ირაკლი ხარჩილავა, ავთანდილ გაბელია, ნონა გუჩუა, ელგუჯა მესხია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N6) .

მოისმინეს: 5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საკითხი წარმოადგინა მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 2).

მოისმინეს: 6. .წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 3).

მოისმინეს: 7. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საკრებულოს აპარატზე საწვავისა და სატელეფონო ბარათების ხარჯვის ლიმიტის დაწესების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N38 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თენგიზ ფიფიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 5 ავთანდილ გაბელია, გიორგი აბულაძე, ირაკლი ხარჩილავა, ელგუჯა მესხია, ნონა გუჩუა.) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N4).

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე **თემურ ღვინჯილია**